



სასამართლო  
ექსპერტიზის  
ეროვნული ბიურო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების  
დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2025 -2028 წელი

## სარჩევი

|                                                                      |   |
|----------------------------------------------------------------------|---|
| შესავალი -----                                                       | 3 |
| სიტუაციური ანალიზი -----                                             | 3 |
| საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები -----                                 | 3 |
| ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკის განსაზღვრის დოკუმენტი ----- | 4 |
| ხედვა, მიზნები და ამოცანები -----                                    | 5 |
| მონიტორინგი და ანგარიშგება -----                                     | 6 |
| ლოგიკური ჩარჩო -----                                                 | 7 |

## შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - ბიურო) მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2025-2028 წლის სტრატეგიას და 2025 წლის სამოქმედო გეგმას.

დოკუმენტის უმთავრესი მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, ბიურომ გამოკვეთოს სტრატეგიული პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია მიმდინარე წელს. აღნიშნული ინიციატივები მიზნად ისახავს შშმ პირთა უფლებების ეფექტურ დაცვას, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და ინკლუზიური გარემოს ფორმირებას ბიუროს სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით.

სამოქმედო გეგმა შემუშავდა ბიუროს ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის აქტიური მონაწილეობით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ შშმ თემის წარმომადგენლები, რომლებიც კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თემებთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს, რომ სამოქმედო გეგმა რეალურად პასუხობდეს შშმ პირთა საჭიროებებს და ხელს უწყობდეს ბიუროს სერვისების ეფექტიან ადაპტირებას თანამედროვე ინკლუზიური სტანდარტების შესაბამისად.

## სიტუაციური ანალიზი

### ➤ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები

ბიუროს სამოქმედო გეგმის შედგენა დაეყრდნო ისეთ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებს, როგორიცაა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია და მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), ხოლო მეორეს მხრივ ეროვნულ კანონმდებლობას, კერძოდ საქართველოს კონსტიტუციასა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონს.

2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა, რომლითაც ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო

სტანდარტები და იკისრა რიგი ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კონვენციის მიხედვით წევრი სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით, ასევე, ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამრღვევი პრაქტიკის შეცვლით.

ასევე, 2015 წელს, გაერომ მდგრადი განვითარების მიზნები დაამტკიცა, რომლის 17 მიზანი და 169 ამოცანა მიმართულია გაეროს ყველა წევრი ქვეყნისთვის უკეთესი და უფრო სტაბილური მომავლის მისაღწევად, შშმ პირების მხარდამჭერი სისტემების დასახვეწად და სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

### ➤ **ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები**

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 11 (თანასწორობის უფლება) ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ შშმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.“

ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია 2021-2030 წლებისთვის ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდის საჭიროებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პოლიტიკის დანერგვას, შემუშავებასა და განხორციელებაში უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფას.

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აწესრიგებს სამართლებრივ მდგომარეობას, ქმნის მათი უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიებს და საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების წარმოჩენას. ამისათვის კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებების, მათ შორის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინკლუზიური გარემოს შექმნის და მათთვის სრულყოფილი სერვისების მიწოდების მიზნით, ბოლო წლების განმავლობაში ბიურო თანმიმდევრულად ახორციელებს ცენტრალური და რეგიონული ოფისების ადაპტირებას. ბიუროს ყველა ოფისში (თბილისი და რეგიონები) მოწყობილია პანდუსები. ხოლო, ქუთაისის რეგიონულ დეპარტამენტში, გორის სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებაში, თბილისის ცენტრალურ ოფისში და სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში შშმ პირების საჭიროებაზე მორგებული სველი წერტილი.

შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინკლუზიის მიმართულებით გადამდგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ დღის წესრიგში დგას მრავალი გამოწვევა, რომელიც აფერხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ რეალობის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო იღებს ვალდებულებას, შექმნას და განახორციელოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების ფორმალურ შესრულებას, არამედ შშმ პირთა უფლებების რეალურ, ეფექტიან და თანმიმდევრულ იმპლემენტაციას ბიუროს ყოველდღიურ საქმიანობაში.

## ხედვა, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფუნდამენტური ხედვაა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დისკრიმინაციისგან თავისუფალი, თანასწორობაზე დაფუძნებული გარემო, სადაც ისინი შეძლებენ სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ისარგებლებენ ბიუროს სერვისებით სხვა მოქალაქეებთან თანაბარ პირობებში. აღნიშნულის განსახორციელებლად, ბიურო ისახავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

### სტრატეგიული მიზნები

- ❖ **სერვისების უნივერსალური ხელმისაწვდომობა** - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ბიუროს ყველა სერვისზე სრული, თანაბარი და შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფა, მათ შორის ფიზიკური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ბარიერების აღმოფხვრის გზით;
- ❖ **ინკლუზიური გარემოს ფორმირება** - ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც სრულად ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე, არის მეგობრული, უსაფრთხო და ღირსეულ მოპყრობაზე ორიენტირებული;
- ❖ **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება** - შშმ პირთა სხვადასხვა თემთან თანამშრომლობით საინფორმაციო კამპანიების, ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებებისა და აქციების ორგანიზება და მხარდაჭერა;

- ❖ **თანამშრომელთა კომპეტენციის გაძლიერება** - რეგულარული გადამზადება შშმ პირებთან ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურების თანამედროვე მიდგომების დასანერგად;
- ❖ **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა** - ინკლუზიური კორპორატიული კულტურის და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მიზნით, შშმ პირებისთვის მათზე მორგებული სამსახურის შეთავაზება და დასაქმება.

**ბიუროს მიერ დასახული სტრატეგიული მიზნების ეფექტურად განსახორციელებლად, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები და აქტივობები**

#### **ამოცანა N1**

##### **ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

- ✓ შშმ პირებზე მორგებული უნივერსალური დიზაინის ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთათვის ნავიგაციის გასაადვილებლად, ბიუროს ყველა ოფისში ეტაპობრივად **ტაქტილური მარშრუტების მოწყობა**.
- ✓ სრულფასოვანი მომსახურების გაწევის მიზნით, ყრუ და სმენადაქვეითებულთა თემთან მჭიდრო კომუნიკაციით და ურთიერთთანამშრომლობით, **თარჯიმნის სერვისის** უზრუნველყოფა ეტაპობრივად, ბიუროს თბილისის, დასავლეთ საქართველოს და აჭარის რეგიონული ოფისების სერვის ცენტრებში.

#### **ამოცანა N2**

##### **საინფორმაციო-საკომუნიკაციო ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

- ✓ ბიუროს ვებგვერდის ადაპტაცია და სრული შესაბამისობა WCAG 2.1 სტანდარტებთან
- ✓ საინფორმაციო მასალების ადაპტაცია - ბიუროს საინფორმაციო მასალების ხელმისაწვდომ ფორმატებში (ბრაილის შრიფტი, მსხვილი შრიფტი, აუდიო ფორმატი, ადვილად წასაკითხი ფორმატი) მომზადება.

#### **ამოცანა N3**

##### **თანამშრომელთა კომპეტენციის გაძლიერება**

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შესაბამისი მომსახურების მიზნით ცხელი ხაზის და სერვის ცენტრის თანამშრომლების გადამზადება;

- ✓ საქართველოს მასშტაბით, ბიუროს სამედიცინო ექსპერტების გადამზადება სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი სტანდარტის მომსახურების გაწევის მიზნით;
- ✓ შიდა სახელმძღვანელოსა და გაიდლაინების შემუშავება სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ურთიერთობის თაობაზე - თანამშრომელთათვის პრაქტიკული მითითებების მომზადება.

#### ამოცანა N4

##### ცნობიერების ამაღლების კამპანიები

- ✓ პარტნიორული ქსელის განვითარება - შშმ პირთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- ✓ სოციალური კამპანიების განხორციელება - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თემების პოპულარიზაცია და სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლა;

#### ამოცანა N5

##### ინკლუზიური გარემოს განვითარება

- ✓ შშმ თემებთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობით ეტაპობრივად ბიუროს ოფისებში 2 / 3 შშმ პირის დასაქმება.

## სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის მოტივორინგს ახორციელებს ბიუროს ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი პირი/პირთა ჯგუფი.

ჯგუფის მიერ ხორციელდება მონიტორინგის სისტემის შექმნა, რომლის მიხედვითაც იგეგმება ინკლუზიურობის მაჩვენებლების განსაზღვრა და რეგულარული შეფასება.

მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს შშმ პირების გამოკითხვას, ბიუროში მათთვის გაწეული მომსახურების თაობაზე. მიღებული რეკომენდაციების საუძველზე აანალიზებს და აფასებს მიღწეულ პროგრესს და ახდენს გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათ აღმოფხვრას.



## ლოგიკური ჩარჩო 2025

|                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                         |                    |      |         |             |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------|------|---------|-------------|
| მიზანი 1                                                                                                                                                                                                                                                  | სერვისების უნივერსალური ხელმისაწვდომობა                                                                                                                                                                                                                                 |                    |      |         |             |
| ამოცანა 1                                                                                                                                                                                                                                                 | ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა                                                                                                                                                                                                                                  |                    |      |         |             |
| აქტივობა 1                                                                                                                                                                                                                                                | მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთათვის ნავიგაციის გასაადვილებლად ბიუროს ცენტრალური ოფისის, დასავლეთ საქართველოს და აჭარის რეგიონულ ოფისებში ტაქტილური ბილიკის მოწყობისთვის სპეციალური სამუშაო ჯგუფის დამტკიცება და ტაქტილური წინამოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება |                    |      |         |             |
| <b>შედეგის ინდიკატორი</b><br>სამუშაო ჯგუფის მიერ მოძიებულ იქნა კომპანიები, შემუშავდა ბიუჯეტი და შეიქმნა პროექტი ბიუროს ცენტრალურ ოფისში, ასევე დასავლეთ საქართველოს და აჭარის რეგიონული დეპარტამენტების ოფისებში ტაქტილური ბილიკების მოწყობის თაობაზე     | დაფინანსების წყარო                                                                                                                                                                                                                                                      |                    |      |         |             |
|                                                                                                                                                                                                                                                           | ადმინისტრაციული რესურსი                                                                                                                                                                                                                                                 | სახელმწიფო ბიუჯეტი |      | სხვა    |             |
|                                                                                                                                                                                                                                                           | ✓                                                                                                                                                                                                                                                                       | ოდენობა            | კოდი | ოდენობა | ორგანიზაცია |
| პარტნიორი უწყება                                                                                                                                                                                                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                         |                    |      |         |             |
| განხორციელების ვადები                                                                                                                                                                                                                                     | 2025 წელი                                                                                                                                                                                                                                                               |                    |      |         |             |
| ამოცანა 1.2                                                                                                                                                                                                                                               | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება                                                                                                                                                                                                                |                    |      |         |             |
| აქტივობა 1.2.1                                                                                                                                                                                                                                            | ბიუროს ვებ.გვერდის ადაპტაცია და სრული შესაბამისობა WCAG 2.1 სტანდარტებთან                                                                                                                                                                                               |                    |      |         |             |
| <b>შედეგის ინდიკატორი</b><br>შეიქმნა ვებ გვერდის შშმ პირებისთვის ადაპტირებული ვერსია. ადგილზე მოსვლის გარეშე ყველა საჭირო ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის - მხედველობის, სმენითი თუ ფიზიკური - შეზღუდვების მქონე მომხმარებლისთვის | დაფინანსების წყარო                                                                                                                                                                                                                                                      |                    |      |         |             |
|                                                                                                                                                                                                                                                           | ადმინისტრაციული რესურსი                                                                                                                                                                                                                                                 | სახელმწიფო ბიუჯეტი |      | სხვა    |             |
|                                                                                                                                                                                                                                                           | ✓                                                                                                                                                                                                                                                                       | ოდენობა            | კოდი | ოდენობა | ორგანიზაცია |
| პარტნიორი უწყება                                                                                                                                                                                                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                         |                    |      |         |             |
| განხორციელების ვადები                                                                                                                                                                                                                                     | 2025 წელი                                                                                                                                                                                                                                                               |                    |      |         |             |
| აქტივობა 1.2.2                                                                                                                                                                                                                                            | ბიუროს საინფორმაციო მასალების ხელმისაწვდომ ფორმატებში (ბრაილის შრიფტი, მსხვილი შრიფტი, აუდიო ფორმატი, ადვილად წასაკითხი ფორმატი) მომზადება                                                                                                                              |                    |      |         |             |
| <b>შედეგის ინდიკატორი</b><br>ბიუროს მომსახურების და ტარიფების შესახებ ინფორმაცია                                                                                                                                                                          | დაფინანსების წყარო                                                                                                                                                                                                                                                      |                    |      |         |             |
|                                                                                                                                                                                                                                                           | ადმინისტრაციული რესურსი                                                                                                                                                                                                                                                 | სახელმწიფო ბიუჯეტი |      | სხვა    |             |



|                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                         |                      |           |         |             |          |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------|-----------|---------|-------------|----------|
| მომზადდა მსხვილი შრიფტით და აუდიო ფორმატში, რითიც მკვეთრად გაუმჯობესდა სხვადასხვა საჭიროების მქონე პირთა მომსახურება                                                                                                                      | ✓                                                                                                                                                       | ოდენობა<br>2000 ლარი | კოდი      | ოდენობა | ორგანიზაცია |          |
| პარტნიორი უწყება                                                                                                                                                                                                                          | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თემები                                                                                                            |                      |           |         |             |          |
| განხორციელების ვადები                                                                                                                                                                                                                     | 2025 წელი                                                                                                                                               |                      |           |         |             |          |
| მიზანი 2                                                                                                                                                                                                                                  | თანამშრომელთა კომპეტენციის გაძლიერება                                                                                                                   |                      |           |         |             |          |
| ამოცანა 2.1                                                                                                                                                                                                                               | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შესაბამისი მომსახურების მიზნით ცხელი ხაზის და სერვის ცენტრის თანამშრომლების გადამზადება                       |                      |           |         |             |          |
| აქტივობა 2.1.1.                                                                                                                                                                                                                           | ცხელი ხაზის და სერვის ცენტრის თანამშრომლების გადამზადების მიზნით წინამოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება                                            |                      |           |         |             |          |
| შედეგის ინდიკატორი<br>შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც მოიძია ტრენინგის განმახორციელებელი კომპანიები, მოიძია ფასები, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია. ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და შედგა ტრენინგის ჩატარების გეგმა/გრაფიკი | დაფინანსების წყარო                                                                                                                                      |                      |           |         |             |          |
|                                                                                                                                                                                                                                           | ადმინისტრაციული რესურსი                                                                                                                                 | სახელმწიფო ბიუჯეტი   |           | სხვა    |             | დეფიციტი |
|                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                         | ოდენობა              | კოდი      | ოდენობა | ორგანიზაცია |          |
|                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                         | ✓                    |           |         |             |          |
| პარტნიორი უწყება                                                                                                                                                                                                                          | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თემები                                                                                                            |                      |           |         |             |          |
